წერილის ნომერი:**31-31222841**
თარიღი: **11/10/2022**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა ჯანაშიას მოსახლეობასთან შეხვედრის და 2022 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქვიანი)

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 07.10.2022 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გოჩა ჯანაშია, მაკა მშვიდობაძე და ჯუმბერ ბლაგიძე.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი გოჩა ჯანაშია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. საკრებულოს წევრმა გოჩა ჯანაშიამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2021წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ლელოს “-ს პარტიული სიით გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“-ს თავმჯდომარის მოადგილედ. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 14, ფრაქციის 11 სხდომაში. ის, როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. სხდომებზე მის მიერ დაყენებული იქნა პრობლემური საკითხები, ესენია: მაწანწალა ძაღლების საკითხი, ასევე პრობლემურია ქალაქში არსებული საპირფარეშოს თემა და იქ მაცხოვრებელი შვიდი ოჯახის საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, რომელიც არის მთლიანად შესაცვლელი. ეს პრობლემა დღესაც მოუგვარებელია. საკრებულოს წევრმა **გოჩა ჯანაშიამ** მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში

არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ. როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, მიუხედავად აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებებისა, იგი კვლავ რჩება ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემად. მათი თქმით, გასულ წელს ჩატარებული შეწამვლითი სამუშაოების შედეგად, აზიური ფაროსანას რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია, შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

- ვალერი მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლი იტბორება და საჭიროა 200მ სანიაღვრე არხის გაყვანა.

- ამირან მელიქიძემ ითხოვა მაგისტრალის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა.

- მოქალაქე პალიანსკაიამ მოითხოვა წყლის მილების შეკეთება, რომელიც დაზიანდა გზის მოწყობის სამუშაოების შემდეგ.

- გიორგი ფირცხალაიშვილმა გააჟღერა ახალგაზრდობის მოთხოვნა, რომ ქვიანის ცენტრში მოხდეს არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (განათება, ბადეები, ბურთები.)

- ასევე სოფლის მოსახლეობამ მოითხოვა რკინიგზის სადგურის ბაქანის მოწესრიგება და

მიშიკო მანთიძის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა.

პატივისცემით,

გოჩა ჯანაშია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი